№ 85

კვირა, 23 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 85

კვირა, 23 აპრილი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

კაბინეტი კბილის ექიმთა

გ. ი. ჰიჭინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ხდა საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს ბ. ბ. დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ რწმუნების ქაღალდები, საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისათვის, რომელიც 9 მაისისთვის არის დანიშნული, უნდა გამოიგზავნონ არა უგვიანეს ერთის კვირისა კრების დაწყებამდის.

(3—ნ.—2)

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ სასამართ ლატარიას-ალეგრის შემოსწირეს ფემია ჩომახოვისამ ექვსი ჭიქა ჩაისა თავისი ლამბაქებით და აბრამ ელიზბარაშვილმა—რამკა და სხვა წვრილი ნივთები.

## ტფილისი, 23 აპრილი.

—

საკვირველი და მეტის-მეტად სამწუხარო ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა აქვს ამ ჟამად ევროპის დრო-გამოშვებითს მწერლობას. თუ გავიხსენებთ, რომ ეს მწერლობა საზოგადოების აზრისა და სურვილის გამომეტყველია, ჩვენი მწუხარება ორკეცდება და პესიმისტური ფიქრები თანამედროვე ევროპის გამო ჩვენს გონებას სრულიად იპყრობს. ჩვენ ყველას გვიყვარს და პატივსა ვსცემთ ევროპას, რადგანაც გვრწამს დიდება მისის კულტურისა და ცივილიზაციისა, მაგრამ ბევრი რამ ევროპის ცხოვრებისა დიდს სასოწარკვეთილებას იწვევს ჩვენს გულში. ჩვენ გვაკვირვებს, რა თანხმობა ან დამოკიდებულება არსებობს ამ ცივილიზაციისა—ერთის მხრივ—და ევროპის ყოველდღიურის ცხოვრებისა და პრაქტიკის შორის—მეორეს მხრით?! რა დამოკიდებულება სუფევს ამ ცივილიზაციის მაღალის და ჰუმანურის მოძღვრების შორის—ერთისა და ძალმომრეობის, მტაცებლობის, შურის და ეგოიზმის შორის—მეორეს მხრივ?!

დავუგდოთ, თუ გინდ, ყური, რა გვარი განგაში აქვს დღეს ევროპის პრესას!

იაპონიამ დაამარცხა დიდი ჩინეთი და ჰსურს ისარგებლოს სავსებით თავისის ძლევა-მოსილობით და გამარჯვებით. ის ისაკუთრებს ჩინეთის კუნძულებს და ტერრიტორიის პატარა, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანს, ნაწილს. ეს დასაკუთრება აუცილებლად საჭიროა იაპონიის ძლიერებისა და მნიშვნელობისათვის შორეულს აღმოსავლეთში და წყნარს ოკეანეზედ. გარდა ამ ნივთიერ შეძენისა, იაპონიას ჰსურს ისარგებლოს გამარჯვებით და შეიძინოს პოლიტიკური გავლენა ჩინეთზედ. რას მოასწავებს ეს გავლენა? რას უნდა მოველოდეთ ამ გავლენის ნაყოფად და შედეგად? რას შესძენს იაპონია დამარცხებულს, პოლიტიკურად და ეკონომიურად დაპყრობილს ჩინეთს? ამ საკითხზედ მოგვცემს პასუხს თვით იაპონიის კულტურისა და ცივილიზაციის განხილვა. რომ იაპონიას დიდი და მდიდარი ძველი კულტურა აქვს, ამას მოწმობს და აღიარებს თვით ევროპის ლიტერატურაც. მაგრამ, მოგვითხრობს შემდეგ იგივე ლიტერატურა, იაპონიის კულტურამ და ცხოვრებამ მიასო ფეხი ერთს ადგილას და აღარ დაიძრა იქედანაო; საჭირო იყო სხვა, განათლებულის ქვეყნის გავლენა, რომ ეს ძველი და მდიდარი ერი წარმატების გზაზედ გამოეყვანა. ჩვენის საუკუნის მესამოცე წლებში იაპონიას მართლაც ეღირსა ეს გავლენა: იგი მოვიდა დასავლეთ ევროპიდგან. შინაურ ბრძოლის შემდეგ იაპონიის მიკადომ და დაბალმა ხალხმა დასცეს ფეოდალთა გეგემონია და სხვა ცვლილებათა შორის თავის ნავთ-სადგურების კარები გაუღეს მთელის ქვეყნის ხომალდებს. დაიწყო ვაჭრობა, დაიწყო მისვლა-მოსვლა; დაიწყო ახალს წესზედ და რიგზედ მრეწველობა; შემოვიდა ევროპიული ტეხნიკა და ევროპიული ცოდნა; გაუმჯობესდა პოლიტიკური წეს-წყობილება და გავრცელდა სწავლა-განათლება. ერთის სიტყვით, ძველს და მდიდარს კულტურას მოხვდა ბრწყინვალე შუქი ახალის და მაღალის ცივილიზაციისა და განახლებული ერი საკვირველის სისწრაფით წავიდა წინ პროგრესის გზაზედ. ფაქტები გვიმტკიცებს ამას და ევროპის მწერლობაც თანახმად ამბობს, რომ ა' ერთის ცოტა ხნის განმავლობაში ამგვარ წარმატებამდე მიღწევა განსაცვიფრებელიაო და მხოლოდ დიდის ნიჭით და ენერგიით სავსე ერს შეუძლიანო. ამას ამბობს საფრანგეთის და გერმანიის მწერლობაც, თუმცა დღეს ამ ქვეყნების პრესა მტრულად უყურებს იაპონიას, ამას ამბობს ინგლისის პრესა და ესვე მწუხარებით უნდა აღიაროს რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმაც! მხოლოდ შურით აღვსილს და შიშით გარეტიანებულს კატკოვისეულს გაზეთს შეუძლია იაპონელთ ველურობა უკიჟინოს!..

ამგვარი ნაყოფიერი და საკვირველი მოღვაწეობა სრულიად ამართლებს იაპონიის სურვილს და განზრახვას. ხოლო მისი სურვილი და განზრახვა არის, როგორც ზევითა ვსთქვით, პოლიტიკური და ეკონომიური წინამძღოლობა გაუწიოს მონგოლთ აზიაში. იაპონიას ჰსურს იგივე როლი იკისროს აზიის შესახებ, რომელიც მის შესახებ ევროპამ იკისრა. იაპონიას განზრახვა აქვს მძლავრის ცივილიზაციის შუქით გაანათლოს ძველი და მდიდარი მონგოლთ კულტურა, გააღვიძოს და ახალის ცხოვრებისათვის აამოძრაოს რამდენისამე საუკუნით დაძინებული აზია. რომ იაპონიას ამ როლის და დანიშნულების აღსრულება ღირსეულად შეუძლია, ამის თავმდებად და გარანტიად იაპონიის ისტორიის უკანასკნელი ხანა და ახლად დასრულებული ომი არის... იაპონიის გაბატონება ჩინეთში გამოიწვევს ჩინეთის გაევროპიელებას, იაპონიის გადასვლა აზიის ტერრიტორიაზედ გამოიწვევს მონგოლთ შეკავშირებას საერთო პოლიტიკურისა და ეკონომიურის ცხოვრებისათვის.

აზია იღვიძებს, აზია ვითარდება! ოდესმე მისგან განათლებული ევროპა, იაპონიის შუამავლობით და შემწეობით ვალს უხდის ძველს ქვეყანას, „კაცობრიობის აკვანს". როგორ ეგებება ევროპა ამ დიდს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში? გახარებულია, თუ არა განათლებული ევროპა იმ გარემოებით, რომ მის გვერდით დგება საერთო წარმატების გზაზედ აქამომდე სანეტარო ძილში მყოფი აზია?! საქმეც იმაშია, რომ არა, არ არის გახარებული! სამწუხაროც ის არის, რომ ევროპა სრულიად წინააღმდეგის გრძნობით არის აღვსილი დღეს, ვინემ შეჰფერის და შეშვენის მისს მაღალს ცივილიზაციას. საფ-

# ფელეტონი

—

**საშინელი ბრძოლა.**

კომედია 5 მოქმედებად.

(ვუძღვნი ქართველს ქალებს).

(შემდეგი *)

მოქმედება მეორე.

(სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულს კაბინეტს ვარლამ ელიაძისას, საწერს სტოლზედ თაიგული სდგას).

გამოსვლა პირველი.

ვარლამი და თადეოზა.

ვარლამი. (კარებში ვიღაცას ხმამაღლა ელაპარაკება) სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს საქმეს მოვიგებ; მაგრამ სამოცი კენჭი-კი უნდა უსათუოდ მიშოვოთ... გესმით—სამოცი... ნურას დაზოგავთ: თუ ხერხი არ გავიდეს, მაშინ ფულები... ქრთამს ხომ იცით არ შეუძლია! ჩვენ ში მაინც ვინ იქნება მისთანა, რომ წითელის ბილეთის წინაშე მუხლი არ მოიდრიკოს!.. მაშ, მშვიდობით და ნუ დამივიწყებთ... ჩემი ჯიბე, ჩემი ხაზინა მუდამ ღიაა მაგ საქმისათვის... (შემოდის და სტოლს მიუჯდება, შემოდის თადეოზა).

თადეოზა. ბატონო, კნიაზ ირაკლი გედერიძე და კნეინა მაკრინე ჟურდანიძისა გახლავან...

ვარლამი. სთხოვე მობრძანდნენ... ბიჭო, თადეოზ, მოიცა, აქ მოდი! (აძლევს თაიგულს და პაკეტს) აი, ეს თაიგული და პაკეტი ეხლავ მიურბენინე... (თადეოზა ჩქარა მიბრუნდება და მიდის კარისკენ) სად მირბიხარ, შე! ბრიყვო შენა? მერე იცი, ვის უნდა მიუტანო? ჯერ ხომ არ მითქვამს!

თადეოზა. იზმაილიძის კნიაჟნას, ბატონო!.. (სიცილით) ხამი ხომ არა ვარ, შე დალოცვილო, რომ არ ვიცოდე! რომელ ერთჯერ გაგიგზავნივარ!

ვარლამი. აი, ბარაქალა, ჩემო თადეოზ! (მხარზედ ხელს უბარტყუნებს) მე ძალიან მომწონს, რომ შენ ბატონის სურვილი ეგრე კარგად გაგიგია... მაშ, გასწი და კარგი პასუხი მომიტანე, თუ გინდა რომ ოქროებში ჩაგსვა... (თადეოზა სიჩქარით გადის).

გამოსვლა მეორე.

ვარლამი, ირაკლი და მაკრინე.

ვარლამი. (მიეგებება მხიარულად) კნეინა მაკრინეს და კნიაზ ირაკლის ჩემი უმდაბლესი სალამი... (ხელს ართმევს ორივეს) დიდად გამახარა თქვენმა ნახვამ, დიდად... მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ... დაბრძანდით... რა ბედნიერს შემთხვევას მივაწერო? რაზედ გარჯილხართ? (ირაკლი და მაკრინე ერთმანერთს უმზერენ და დარცხვენილად იცინიან) არა, მართლა?

მაკრინე. (დარცხვენილის სიცილით) ცოტა საქმე გვაქვს შენთან მე და კნიაზ ირაკლის...

ვარლამი. აბა, მიბრძანეთ.. მე მზადა ვარ ყოველთვის თქვენდა სასამსახუროდ... (ირაკლი და მაკრინე ერთმანეთს უმზერენ და დარცხვენილად იცინიან) მე ყურს გიგდებთ, ბატონებო.

მაკრინე. (ირაკლის) სთქვით, ყმაწვილო!..

ირაკლი. (მაკრინეს) თქვენ თითონ სთქვით... მე არ შემიძლია...

მაკრინე. (წამოხტება სკამიდგან და ნაძალევად ხარხარებს) მე არაფრისთვის არ ვიტყვი მაგას!..

ვარლამი. მაშ თუ არ იტყვით, რად მობრძანდებოდით? კარგი ერთი ნუ გრცხვენიანთ, სთქვით... ადვოკატი ხომ იცით, იგივ მოძღვარია: კანონი ჩვენ სასტიკად გვიკრძალავს საიდუმლოს გამოქვეყნებას...

ირაკლი. (გაჯავრებული მაკრინეს) ქალო, შენ არა სთქვი, ვარლამს ყველაფერს მე მოვუყვებიო? მე ხომ ამ პირობით წამოგყევი!

მაკრინე. მაშ კარგი, მოგახსენებთ... (ნაძალევის სიცილით) საქმე იმაშია, ბატონო ვარლამ, რომ ერთს ბულბულს და ერთს ვარდს ერთმანეთი შეუყვარდათ... მერე რა რიგად შეუყვარდათ!... გაგიჟებით!... ერთიც ვნახოთ,—საზიზღარი, შავი ყვავი საიდგანღაც მოფრინდა და შუაში ჩაუჯდა შეყვარებულებს... სულსა ლევენ ერთმანერთისთვის საბრალო ბულბული და ვარდი, მაგრამ ვერას გახდნენ წყეულ ყვავთან... ეხლა ეს ბულბული და ვარდი სცდილობენ რამე მოუხერხონ ამ საძაგელს ყვავს...

ვარლამი. ესე იგი, რა გნებავთ, კნეინა, მაგით ბრძანოთ? მართალი გითხრათ, თქვენის იგავებისა არაფერი გამეგება... არ შეიძლება პირდაპირ ბრძანოთ?

მაკრინე. (თავისთვის) ღმერთო, რა ცეცხლში ვარ! (ირაკლის) აწი შენა სთქვი, მე დავიღალე...

ირაკლი. ვა, იგავებს მეც ვიტყოდი, ქალო! შენ საქმე უნდა სთქვა!..

მაკრინე. (ვარლამს) რა გაუგებარი რამ ყოფილხართ, ღმერთმანი! (შესაბრალისის ხმით) მაგრამ არა, თქვენ ჩემი წვალება გინდათ!..

ვარლამი. ენდეთ ღმერთს, რომ არაფერი გამეგება!..

მაკრინე. (ჟინით) თუ არ გაგეგებათ, ჰა: მე და ირაკლის ერთმანეთი გვიყვარს... ეხლა ხომ გაიგეთ!..

ვარლამი. ძლიერ მოხარული ვარ!.. მერე მე რა?

მაკრინე. რა და ჩემი ოხერი ქმარი უნდა ჩავაძაღლოთ!..

ვარლამი. როგორ თუ ჩააძაღლოთ? მივხვდი, მივხვდი ეხლა!.. ე. ი. გაყრა გნებავთ... დიდის კმაყოფილებით... ეგ ხომ ჩემი ხელობაა!.. როცა გნებავთ, მზადა ვარ, თქვენს საქმეს ხელი მოვკიდო...

მაკრინე. გაყრა რომელია! თვალებიც დასდგომია ჩემს მაიმუნს ქმარს, თუ მე იმისთვის სასამართლოებში არ ვეთრიო და საქვეყნოდ თავი არ გავილანძღო!.. გაყრა-კი არა, ჩვენ მისი ჩაძაღლება გვინდა...

ვარლამი. ესე იგი?

მაკრინე. (გაჯავრებული იქით) რომ ვერ გავაგებინე! (ჟინით) ესე იგი მოკვლა, მოკვლა, ჰე!

ვარლამი. მერე მე რა შუაში ვარ? მონაწილეობა გნებავთ მიმაღებინოთ მაგ მკვლელობაში, თუ?

მაკრინე. არა, მხოლოდ რჩევა უნდა მოგვცე...

ვარლამი. რა რჩევა?

მაკრინე. ჩვენ გამოცდილება არა გვაქვს ჯერ და ვერ გარდაგვიწყვეტია, თუ როგორ ავუგოთ წესი მაგ საძაგელს... აი, ირაკლი მეუბნება, მის მოკვლას მე ვიკისრებო: მარტო რომ იქნება სადმე, ან ღამე საწოლში შეუვარდები და ხანჯლით თავს წავძაღლავო... მოგსწრებიათ, ბატონო, ამისთანა სიბრიყვე! (ხარხარებს) ეგ ხომ ყველასათვის აშკარა მკვლელობა იქნება! ხომ მაშინვე ხელს სტაცებენ ჩემს ირაკლის და მშვიდობით მაშინ!.. მე-კი სხვანაირად ვფიქრობ... ხომ მოგეხსენებათ ქალების უებარი საშუალება ამგვარს შემთხვევაში: გემრიელს საჭმელში ერთი წვეთი და მორჩა... ხა! ხა! ხა! ისე ამოსძვრება სული, რომ ვერც-კი გაი-

*) იხ. „ივერია" № № 82, 83, 84.

რანგეთის პრესა, იმ საფრანგეთისა, რომლის რევოლიუციამ მცნებად გაიხადა თავისუფლების, განათლებისა და ძმობის იდეების გავრცელება მთელის დედა-მიწის ზურგზედ, ამ საფრანგეთის პრესა დღეს ღაღადებს, რომ აზიის გაღვიძებას უნდა წინ აღუდგეს მთელი ევროპა თავისის ინტერესების დასაცველადაო! მონგოლთ აღორძინება და მათ მიერ ევროპიულის ცივილიზაციის შეთვისება ჩვენს ინტერესებს აზიაში ვნებას მოუტანსო! ეჭვი არ არის, რომ იაპონია მალე გასწრთვნის ჩინელებს, გაანათლებს მონგოლთ და ამით ევროპიელთ ბატონობას აზიაში ბოლო მოეღებაო. ამ გვარად ქადაგებს ოდესმე თავისუფლებისა და ცივილიზაციის მოყვარე საფრანგეთი, ყოველგარს უთანხმობას თავი დავანებოთო და ერთიანად დავამხოთ იაპონია თვის საშიშ განზრახვითა და უაზრო იმედებითაო. საფრანგეთის მწერლობას ბანს აძლევს ევროპის სხვა სახელმწიფოთა პრესაც. „ივერიის“ გუშინდელს ნომერში გვქონდა მაგალითად მოყვანილი გერმანულის გაზეთის „Kölnische Zeitung“-ის საოცარი მოსაზრებანი. ასი წელიწადია მას აქეთაო,—სწერს გაზეთი,—რაც ამერიკამ მოისურვა დამოუკიდებელი ცხოვრება და გამოუცხადა ინგლისს ომიო. მის მაგიერ რომ მაშინ მოვხმარებოდით ინგლისს და დაგვემხო ახალი ქვეყანა, ჩვენ, ევროპიელნი, სიხარულით და ტაშის ცემით ვეგებებოდით ამერიკელთ სურვილსა და აი ჩვენმა წინ-დაუხედველობამ შეჰქმნა ამერიკაო, ეს მძლავრი მტერი ევროპის ინტერესებისათვისო! ახლაც ამგვარი განსაცდელი უჩნდება ევროპის აზიის მხრივ და დაუყოვნებლივ შევუდგეთ ჩვენის მომავალის დაცვასაო. საოცარი და სამწუხარო არ არის, რომ თანამედროვე ევროპა საყვედურს უგზავნის წარსულ საუკუნის ევროპას იმისთვის, რომ იგი ალტაცებით შეეგება ამერიკის გაღვიძებას და განთავისუფლებას?! ეს რა ინტერესებია, რომელიც პირზედ აკერია დღეს ევროპას და რომელთ დაცვისათვის შორეულს აღმოსავლეთისაკენ თავისს შიშის ზარ-დამცემ ხომალდებს ჰგზავნის? ეს რა ინტერესებია, რომელთ დაცვა ავიწყებს ევროპას თავისს ტრადიციებს და თავისს ცივილიზაციის მოძღვრებას? ეს რა ინტერესებია, რომელთ დაცვა იძულებულს ჰყოფს ევროპას შეერთდეს აზიის აღორძინების დასამხობად?—ეს ყოფილა: ევროპის ეკონომიური ბატონობა იზიაში; ეს ყოფილა: აღებ-მიცემობა, ვაჭრობა და მრეწველობა; აზია სჭირდება ევროპას, როგორც ბაზარი, როგორც მყიდველი ევროპის ნაწარმოებისა, საქონლისა და სიმდიდრისა! ეს ვაჭრული ინტერესები ისეთი მძლავრნი ყოფილან, რომ მათ წინ ყოველი იდეალური მოსაზრება ბედს იდრეკს! ყოველ დღე ევროპა ჰქმნის აუარებელს საქონელს, სიმდიდრეს და იძულებულია უთუოდ გაჰყიდოს ეს საქონელი; იმიტომაც თავგანწირულად იბრძვის და ომობს ბაზრის მოპოვებისათვის და შერჩენისათვის. ვინ მოსთვლის, რამდენი სისხლი დაუღვრია და ახლაც ღვრის ევროპა მხოლოდ იმისთვის, რომ ბაზარი იქონიოს! დედა-მიწის ყველა კუთხეში ევროპიელი ცეცხლითა და მახვილით იკაფავს გზას და შემდეგ მაგრად ხელჩაკიდებული ჰპყრობს ქვეყანას, მოპოვებულს ბაზარს. რაღა გასაკვირველია, რომ ევროპა ამხედრებულა ახლა, რაკი ატყობს, რომ აზია—ეს მისი დიდის ხნის ბაზარი, ეს ეკონომიურად დამონავებული ქვეყანა—ხელიდგან ეცლება და თითონვე აპირებს დამოუკიდებლად იცხოვროს?! ევროპა თავისის ხელით ვერ გამოიჭრის ყელს და ამიტომაც ყოველს ღონისძიებას იხმარს, არ დაანებოს მონგოლოთ აზია, არ მისცეს მათ ნება განთავისუფლებისა და საშუალება განათლებისათვის... მაგრამ ეს რა ცივილიზაცია, ეს რა კულტურა ყოფილა, რომელსაც არ შეუძლია ისე ცხოვრება, თუ მონები არ ჰყავს? ეს რა ცივილიზაცია ყოფილა, რომლის იდეალი და პრაქტიკა ერთიერთმანეთს ეწინააღმდეგება? ეს რა ცივილიზაცია ყოფილა, თუ მისი შვილნი ძმობასა და ერთობას ქადაგებენ და ნამდვილად-კი მტაცებლობენ და ძალ-მომრეობენ?! თუ ამ საშწუხარო მოვლენას, თუ ამ საშინელს სენს თვით ევროპის ცივილიზაციაში არ მოეძებნება წამალი, მაშინ ჩვენ დაგვრჩენია ზურგი ვაჩვენოთ ევროპას და ისევ ტყეში დავიბინავოთ! თუ ამ სენს თვით ევროპის ცივილიზაცია და მეცნიერება ვერ მოსპობს, მაშ მართალნი ყოფილან ის მტერნი და მძაგებელნი ევროპისა და მისის კულტურისა, რომელნიც დიდის ყოყოჩობით მუდმივ გვითითებენ ხელს აფრიკისაკენ, აზიისაკენ, ავსტრალიისაკენ, ამერიკისაკენ და გვეუბნებიან—„შეჰხედეთ, რა ჩაიდინა და რას იდენს ევროპა ამ ქვეყნებში: იქ ზანგნი ამოწყვიტა, აქ ინდოელნი შემუსრა—აი, თქვენი განათლებული ევროპაო!“ მაგრამ კაცობრიობის საკეთილდღეოდ და საიმედოდ ეს ვაჟბატონები არ არიან მართალნი: თვით ევროპის კულტურაში სძევს ელემენტი ევროპის განახლებისა და საშინელის სენის მოშორებისა! ეს ელემენტი, რომელმაც უნდა განაახლოს ევროპის სოციალური წეს-წყობილება, არის დემოკრატია თავისის იდეალით ერთობისა, ძმობისა და თავისუფლებისა. ახლანდელი მომენტი ევროპის ისტორიისა არის მხოლოდ ერთი ხანა, ერთი ისტორიული კატეგორია, რომელიც დღეს არის და ხვალ აღარ იქნება, ისე, როგორც ძველად მონობა იყო და ახლა აღარ არის, ისე როგორც შემდეგ ფეოდალიზმი და ბატონ-ყმობა იყო და ახლა არ არის! ევროპის ცხოვრების დღევანდელს ხანას ბურჟუაზულ ანუ კაპიტალისტურ ეპოქად უწოდებენ. მან წარმოების ყველა იარაღი ერის უმცირესობას მისცა და უმრავლესობის შრომით აგროვებს დიდ-ძალს სიმდიდრეს გასასყიდად. მან გაიბატონა კაპიტალი და ცხოვრების დედა-ბოძად არსებობისათვის ბრძოლა გამოაცხადა. ბურჟუაზიამ ჯერ შინ, ევროპაში, დაიმონავა ხალხი, შემდეგ გავიდა გარეშე და დაიწყო ყველა ერთა დამონავება· ბატონი ის არის, ვისაც კაპიტალი აქვს და მოხერხებულად მას ატრიალებს, ბატონობს ის ერი, რომელიც კაპიტალისტურად განვითარებულია! ბევრი კარგი შესძინა ქვეყანას ამ ეპოქამ, კაპიტალის გაბატონებამ, მაგრამ ბევრი ცუდიც მოჰყვა მას თან. სახლში ლუკმა პურისათვის ბრძოლაა, გარეთ ბაზრის მოპოვება, კაცთა შუა საშინელი უთანასწორობა, ერთა შუა მხეცური ურთიერთობა—აი, რა მოასწავა ბურჟუაზიის ბატონობამ. მაგრამ ამ ბურჟუაზიისვე ნიადაგზედ აღმოცენდა ელემენტი, რომელმაც სულ სხვა რიგზედ და წესზედ უნდა მოაწყოს ცხოვრება! თვით ამ ბურჟუაზიის მეცნიერებამ ამ ახლო ხანში აღიარა, რომ ის მომავალი აუცილებლად მოსდევს კაპიტალისტურს ეპოქას. ისტორია და ცხოვრება ხომ ნამდვილად გვეუბნება, რომ სოფლიოო ასპარეზს ნელ-ნელა იჭერს დემოკრატია, რომელსაც აქამომდე აქტივური მოღვაწეობა და მართველობითი როლი არ ეკუთვნოდა. მოდის და მოაქვს სულ სხვა იდეალი. ის ამბობს, რომ კაცი-კი არ უნდა იყოს მიწა-წყალის, ფულ[ის], ფაბრიკის, კაპიტალის მონა, რ[ო]გორც ახლა არის, არამედ ყოველი კაცის მონა-მოსამსახურედ უნდა გ[ახ]დეს. ცხოვრების ქვა-კუთხედ კაპ[იტ]ალი-კი არ უნდა იყოსო, არა[მედ] შრომა. შრომა გვაერთებს ყველ[ას] ბუნებასთან საბრძოლველად და სი[მ]დიდრის შესაძენად; ხოლო ეს სი[მ]დიდრე გასასყიდლად-კი არ უ[ნდა] იყოს, არამედ საყოველთაო სახმარ[e]ბლად! მსოფლიო ისტორიაში თავი[ს] ადგილს იჭერს დემოკრატია და [მ]ის გაბატონების შემდეგ ევროპის ცი[ვი]ლიზაცია სავსებით გაიმარჯვებს, [გა]ჩვენებს თავისს ძალას, მოსპობს [ამ] საშინელს სენს, რომელიც ძირს [უ]ხრის ევროპის კულტურას და და[ამ]ყარებს ადამიანთა და ერთა შორი[ს] ნამდვილს ძმობას. აი, ეს გვარიგ[ი] ჩვენ ევროპის ცივილიზაციასთან. ა[ი], ამ პასუხს აძლევს ევროპის მეცნი[ე]რება და ისტორია ყველა მათ, ვისა[ც] იმედი დაჰკარგვია და ვინც ევროპ[ის] კულტურის გმობაშია დღეს!

ლალო.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 23 აპრილს, ტფილ[ი]სის ქალაქის საბჭოს სადგომში და[ნი]ნიშნულია საბჭოს მოსამსახურეთა კრება პენსიათა შესახებ და იმ პრო[]ექტის განსახილველად და გარდასა[წ]ყვეტად, რომელიც ქალაქის საშმა[რ]თველოში მოსამსახურეთა პენსიის და[]ნიშვნას შეეხება.

*** ტფილისელ მცხოვრებთა სა[]მართლიანს საჩივარს ყურადღება მი[]აქცია ტფილისის პოლიცმეისტერმ[ა] და ქალაქის მოურავს მოსთხოვა პა[]სუხი, რა ღონისძიებანი მიიღო ყას[]ბების უსინიდისობის წინააღმდეგ სა-

---

გებს... ხომ ასე სჯობია, ბატონო ვარლამ? ხომ ჩემმა ჭკუამ აჯობა ირაკლისას?

ირაკლი. აი, სწორედ დიდი ვაჟკაცობაა კაცის მოწამვლა!.. ეგ ხომ დედაბრობაა! ვაჟკაცი ვინც არის და ქუდი ჰხურავს, ის პირ-და-პირ შეეტაკება თავისს მტერს!..

მაკრინე. (დაცინვით) და მერმედ ცივს ქვეყნებში ამოჰყოფს თავს!.. (ვარლამს) მართლა, შენი ჭირიმე, ხომ ჩემი რჩევა სჯობია?

ვარლამი. (სახეს სასტიკს გამომეტყველებას აძლევს) ესე იგი თქვენ გნებავთ შეიტყოთ, თუ რა სასჯელია დადგენილი კანონებში მაგგვარ დანაშაულობისათვის? (კანონის წიგნს აიღებს და ფურცლავს) ეხლავ მოგახსენებთ... (თავისთვის ბუტბუტებს): Статья 1485 уложенія гласитъ слѣдующее: „Кто съ обдуманнымъ заранѣе намѣреніемъ причинитъ кому либо разстройство въ здоровьѣ, примѣшаетъ ядовитыя или другія вредныя вещества въ съѣстные припасы или напитки.. затѣмъ статья 1488: „Ежели вслѣдствіе означеннаго въпредшедшихъ статьяхъ преступленія, кому нибудь причинилась смерть, то виновный въ ономъ подвергается: наказанію, опредѣленному выше сего въ статьѣ 1484, но всегда въ высшей онаго мѣрѣ“... (მაკრინეს) მაგრამ ის გარემოება, რომ საწამლავის მსხვერპლი თქვენი კანონიერი ქმარია და არა ვინმე გარეშე, თქვენს სასჯელს ამძიმებს, და ამისათვის პასუხი უნდა აგოთ 1492 მუხლის ძალით, რომელიც ქმრის მომწამვლელს ცოლს უნიშნავს სასჯელად 15 წლის კატორგას... (გულ-ცივად) ასე გახლავთ, ბატონებო!..

მაკრინე. (ნაღვლიანად) ღმერთო ჩემო, რა გულ-ცივი რამ ყოფილხართ! (შესაბრალისის ხმით) თქვენ მე არ გებრალებით, ბატონო ვარლამ!.. დამცინით... მე არაფერი დამიშავებია თქვენთვის... (ცხვირ-სახოცით ცრემლებს იწმენდს)

ვარლამი. ბატონო, რა ჩემი ბრალია?! კანონებს ჩვენ ხომ არა ვწერთ!

მაკრინე. (ვარლამს მხარზედ დაადებს ხელს და ეალერსება) შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, გვიშველე, გამოგვიწყე საქმე შენებურად... საუკუნოდ გვიმსახურე...

ვარლამი. კნეინა, გარწმუნებთ, რომ მე არაფერი შემიძლია!..

მაკრინე. კი, შეგიძლიანთ... თქვენ ყველაფერი შეგიძლიანთ... თავს რად დასცინით?... განა ვარლამ ელიაძისთვის არის რამ შეუძლებელი!..

ვარლამი. (სიცილით თითს უქნევს) ოჰ, ქალებო, ქალებო, რა ხართ, რა! თუ ვისმეს ჰსურს ჯოჯოხეთის წარმოდგენა, თქვენს გულში უნდა ჩაიხედოს!.. მაშ კარგი, ბატონებო, მე მზადა ვარ დახმარება გაგიწიოთ თქვენს საქმეში, მაგრამ ერთის პირობით. . შემისრულებთ, თუ არა?

მაკრინე და ირაკლი { (ერთ-ხმად) დიდის კმაყოფილებით, ბრძანეთ!..

ვარლამი. თქვენც გაიგონებდით უთუოდ,—ეხლა ჩვენში არსდება „საქართველოს მადნეულთა მწარმოებელი საზოგადოება,“ რომლის დირექტორიც კენჭით უნდა იქნეს არჩეული... მე ვაპირებ დირექტორობას... თქვენ უნდა მიშოვოთ ორასი კენჭი..

ირაკლი. ხუთასი იყოს, ბატონო, ხუთასი!

მაკრინე. ათასი, ორი ათასი, მილიონი!... ერთი თვალი რომ დავუქნიო, ყველა ჩვენი კნიაზები მიწაში ჩაძვრებიან.

ვარლამი. მაშ ხელი... (ხელს ართმევს ორივეს) რაც შეეხება თქვენს განზრახვას, აი ჩემი რჩევა: კნეინა მაკრინეს აზრს უნდა მიეცეს უპირატესობა... საწამლავი ამ გვარს შემთხვევაში მართლა უებარი საშუალებაა: დამნაშავე კვალ-წმინდად იკარგება: ეს საშუალება დიდი ხანია ნაცადია ქალების მიერ და იმათსავით ვერც ვინმე იხმარს... თვალ-ახვეული ფემიდა იმდენს შეურაცხყოფას არავისგან ითმენს, რამდენსაც მომწამვლელ ქალებისაგან... მაშ დავლოცოთ და მივენდოთ კნეინა მაკრინეს ხელს... და თუ ვინიცობაა რაიმე ეჭვი შამოიტანონ თქვენზედ, მაშინ მე მომაკითხეთ.. თუ ვარლამი იქნა ცოცხალი, ცუდს არას შეგამთხვევთ!...

მაკრინე. (სიხარულით) გაუმარჯოს, გაუმარჯოს ჩვენს მხსნელს, ჩვენს ვარლამს. (ირაკლის) აბა, კნიაზო, ეხლა გავსწიოთ! (ართმევენ ვარლამს ხელს და კარებისკენ მიდიან).

ვარლამი. მაგრამ საწამლავი-კი ისეთი უნდა იხმაროთ, რომ დაუყოვნებლივ იმოქმედოს...

მაკრინე. ოოო, ისეთს საწამლავს გამოვართმევ ჩემს დოხტურს ვალიკოს, რომ ერთს წამში ასე მოუგრიხოს (თითს იგრეხს) კისერი ჩემს ოხერს ქმარს.. აი, მისთანას, შარშან რომ ჩემს რძალს ირინეს მისცა ქრმისთვის... (გადიან).

გამოსვლა მესამე.

ვარლამი (მარტო).

ვარლამი. ამაოდ ვეძებ მოსვენებას... ბაირონის მანფრედი შესთხოვდა სულებს დავიწყება მომგვარეთო, მე-კი მზად ვარ, დავუთმო ჩემი სული ეშმაკს ერთის დღის მოსვენებისთვის... დილიდამ საღამომდის სასამართლოებში ყბედობით ხახა გიშრება, საღამოს უნდა ჩაუჯდე დაუბოლოვებელს აპელაციებს და კასსაციებს... ისე მესევა ეგ ჩვენი თავად-აზნაურობა, თითქოს თაფლი მეცხოს, თითქოს ჩემს მეტი ადვოკატი სხვა არავინ იყოს ჩვენში; ხშირად ვეუბნები ჩემს მთხოვნელებს: ბატონებო, ღმერთს ენდევით, რომ დრო არა მაქვს და ვერ მოვკიდებ თქვენს საქმეს ხელს,—სხვასთან მიპრძანდით-თქო; მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ:—შენთან სიკვდილი, შენთან სიცოცხლეო! ჩვენი თავად-აზნაურობა ნამდვილს ცხვრის ფარა[ს] წარმოადგენს: გოგრის სიჩატის გა[და]მო საითაც ერთი მიდის, სხვებიც იქით მიდიან... ერთი რომ კლდე[]ზედ გადიჩეხოს, სხვებიც მას მიჰყვე[]ბიან... კიდევ კარგი, რომ ეგ ცხვრე[]ბი მსუქნები ან მატყლოსანნი იყვ[]ნენ... ფუ, (აფურთხებს) ჰკრეჭ და სიბრალულსა ჰგრძნობ; გეშინია, რომ გვერდების ძვლებს მაკრატელ[ი] არ შეატეხო—ისეთი მჭლე არიან... ხანდის-ხან ურიის ან სომხის საქმ[ე] შეგვხვდება და ის რომ არ გვიბრუ[]ნებდეს სულს,—ღმერთსა ვფიცავ,—ადვოკატები შიმშილით დავიხოცე[]ბოდით... მაგრამ ეხლა-კი ძალია[ნ] საჭიროა ჩემთვის ჩვენი თავად-აზნაუ[]რობა: აი, დირექტორობას ვაპირებ და ჯერ ბევრი კენჭები მაკლია... ყოველს ღონისძიებას ვიხმარ, რომ გავიტანო ბურთი... ამ საქმეში იჩინა თავი „პარტიობამ!“ წინააღ[მ]დეგი ბევრი მყავს: ამბობენ, თუ ელიაძეზედ უფრო ღირსეული კა[ნ]დიდატები ბევრი გვყავსო.-. მისთანა საზოგადოების დირექტორს, როგო[]რიც არის »საქართველოს მადნეულ[]თა მწარმოებელი საზოგადოება« მოეთხოვება შესაფერი სპეციალურ[ი] სწავლა და ადვოკატი გამოუდეგარი []ნებაო; ზოგნიც იმას ამბობენ, რომ დირექტორი უთუოდ კარგი თავ[ა]დიშვილი უნდა იქნესო და არა [ვი]ღაც ელიაძისთანა წვრილ-ფეხა აზნა[]ურიო... მიჰქარავთ! მე თქვენ და[] გიმტკიცებთ, რომ თქვენი ღირსე[]

ვაჟრო ყურის მგდებელმა პოლიციამ და ან მომავალში რა საშუალებანი უნდა მივიღოთ, რომ აილაგმოს მათი თავ-გასულობაო. ეს ცნობები ქალაქის პოლიცმეისტერმა გუბერნატორს უნდა მოახსენოს.

⁂ ამ წლის ოც-და-ოთხს მარტს ტფილისის გუბერნატორს ბრძანება გაუცია, ერთის ქალაქიდგან მეორეში გადამყვან ეტლებთა პატრონების შესახებ, რომლითაც, სხვათა შორის, შემდეგია ნაბრძანები:

1) განცხადების მიცემისათანავე, გუბერნატორის განკარგულებით, განსაკუთრებულმა კომისიამ, საფოსტო უწყებათა თანადასწრებით, უნდა შეამოწმოს როგორც თვით ეტლი, ისე ცხენები, ივარგებენ თუ არა მგზავრთათვის.

2) იმ ეტლს, რომელიც მიმოსვლისათვის არის დანიშნული, უნდა ჰქონდეს მიკრული ფოლადის ფიცარი, რომელზედაც, გუბერნატორისავე გარდაწყვეტილებით, აღნიშნულ იქმნება მოგზაურთა ადგილების რაოდენობა.

3) დანიშნულ რიცხვზედ მეტის ჩაჯდომა მოგზაურთა სასტიკად აღკრძალულია.

4) პოლიციის უფროსთ ნება ეძლევათ, დროიდგან დრომდე დაათვალიერონ და შეამოწმონ როგორც საერთო მოქმედება, აგრეთვე ეტლი, ცხენები და სხვა.

5) იმ შემთხვევაში, თუ ეტლი შეუკეთებელია, ცხენები უვარგისია და სხვა, აღეკრძალებათ მოქმედება, სანამ არ შეაკეთებენ და ან ცხენებს არ გამოსცვლიან.

6) თითოეულს ეტლში ოთხის კაცის ადგილს გარდა უნდა იყოს ადგილი მეეტლისა და კონდუქტორისა.

7) ვინც ზემოდ აღნიშნულს წესრიგს არ შეასრულებს, პასუხის გებაში მიეცემა.

⁂ თავად სოლაღაანთ გვარში აღმოჩენილა ბევრი ისტორიული სიგელ-გუჯრები მათივე გვარის წინაპართა შესახებ. სხვათა შორის, ორი ძველი სიგელი ურევია: ერთი ტყავზედ ნაწერი შაჰნავაზ მეფისა და მეორე მათვე სოლაღაანთ წინაპართა პირობის ვრცელი წერილი, რომელ წერილსაც ამტკიცებს დომენტი კათალიკოსი. პატრონს განზრახვა აქვს, ყველა ეს მასალები წერა-კითხვის საზოგადოებას შესწიროს.

⁂ ს. გლდანში ვენახებს რაღაც ჭია გასჩენია. მაზრის უფროსს ბ-ნ მამიკონოვს მის წინააღმდეგ მცხოვრებლებისათვის წყალ-ნარევის ლიზოლის ხმარება ურჩევია და კიდევაც გამომდგარა ეს წამალი. რამდენიმე ჭია გაუგზავნიათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ჭიას კოკონა-ჭიას ეძახიან. („კავკაზი").

⁂ მეჯვრისხევიდგან გვწერენ: „იმ კორესპონდენციის გამო, რომელიც ამა წლის „ივერიის" 77 ნომერში იყო დაბეჭდილი, მეჯვრისხევში ქურდობის გავრცელების შესახებ, მიიქცია მაზრის უფროსის ყურადღება და გამოძიება დაინიშნაო". იმედია გულ-დასმით გამოიძიებენ ამ საქმეს და მით დიდს პატივის ცემას დაიმსახურებენ მცხოვრებლებისაგანაო.

⁂ გაზეთ „ნოვ. ობოზ."-ს გაუგონია, რომ მთავრობას განუზრახავს საქართველოს ყველა გუბერნიებში საერო ხარჯით თითო სასწავლებელი დააარსოს, სადაც განსაკუთრებით ვენახის მოვლა-მოშენებას ასწავლიან. თითოეულს სასწავლებელში 60 კაცი იქმნება. ამის გარდა განზრახვა აქვთ თურმე ტფილისში ერთი ორ-კლასიანი სამეურნეო სემინარიაც დააარსონ, სადაც ზემოხსენებულის სასწავლებლებისათვის მასწავლებლები მოემზადებიან. ამ სასწავლებელში სასოსტატო სემინარიებში სწავლა დამთავრებულებსაც მიიღებენო.

⁂ ქუთაისი: წარსულს კვირაში თავი ჩამოირჩო ერთმა 14 წლის ქალმა, რომელიც სამღვდო საქმეთა საკრებულოს წევრ გერარდთან იყო მოსამსახურედ. მიზეზი თავის მოკვლისა არ იციან.

⁂ იქიდგანვე: ამ დღეებში საზღვარ გარეთ გაიპარა სანთლის საწყობის გამგე—რაკსკინი. ამბობენ, ამ კაცს 4 ათასი მანეთი გაუყოლებია სხვისი ფულიო.

⁂

დავბერდი ლომი, დავბერდი,
ცუდად მიბრიყვებს ყველაცა;
ფიცხი, ამაყი ნადირი,
ველარც-კი ვიძვრი ნელაცა!

—

ნადირთ-გუნდს ზარის დამცემი
აწ ვემალები კურდღელსა,
და ცრუ ღიმილით შემცქერის,
დამცინის ქურდი მელაცა!

—

მინდა ცოტა-ხანს მიწაზედ
დავეგდო მოსასვენებლად,
იქაც მაწუხებს მატლები,
და მსუსხავს ჭიანჭველაცა!

—

ვერ შევძელ, ამ გვარს ჩაგვრასა
დავშორდი ბუნაგს-ბინასა,
წვრილები მყვანან ლეკვები,
არსიდგან მიხანს შველაცა!

ჰაზირა.

## რუსეთის ცხოვრება.

—

საზოგადოდ ეგზამენები სასწავლებლებში თითქმის ივნისის დამდეგამდე გასტანს ხოლმე, ასე რომ მოსწავლე ახალ-გაზდობას ერთმევა იმისთანა დრო, როდესაც უნდა დაისვენოს და ჯან-ღონე მოიკრიბოს. ამის შესახებ სასიხარულო ამბავს გვაუწყებენ გაზეთები: სასწავლებლის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით საშუალო სასწავლებლებში წელს სამხრეთს რუსეთში ეგზამენები ადრე გათავდება. იმედია, მომავალში ეს განკარგულება სხვა სასწავლებლებსაც შეეხება.

—

გაზეთ „რუს. ვედ." სიტყვით ამას წინად სამარაში შემდეგი ამბავი მომხდარა: სრულიად საღი და კარგის შეძლების მუშა გლეხი ჭკუაზედ შეშლილა, რადგანაც ადგილობრივს მთავრობას მიუსაჯავს „როზგი".

—

ციმბირის დიდის რკინის გზის მანძილზედ, რომელიც 7, 000 ვერსისაგან შესდგება, დროებითი მიმოსვლა შეიძლება 1, 150 ვერსის მანძილზედ. გზა გაყვანილია 1500 ვერსის მანძილზედ. სხვა-და-სხვა ნაწილებში ხალხისა და საქონლის გადასატან-გადმოსატანად სხვა-და-სხვა ჯურის 100 ლოკომოტივი და 2,500 ვაგონია გაგზავნილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბროკჰაუზენის ენციკლოპედიურს მე-28 ნაწილში, სხვათა შორის, კატკოვის შესახებაც არის დაბეჭდილი ვრცელი წერილი ბეკეტოვისა. ავტორი რიგიანად ახასიათებს ამ პუბლიცისტს და ამბობს, რომ

„ბერლინის კონგრესის შემდეგ კატკოვი გერმანიის წინააღმდეგი შეიქმნა და ამ თვალთა ხედვის ისრით აღჭურვილი იყო 1882 წლამდის, რის შემდეგაც ბისმარკის მომხრე გახდა. ოთხის წლის შემდეგ ხელ-მეორედ მტრად გადაექცა ბისმარკსა და მას რუსეთის უუბოროტეს მტრადა სთვლიდა—ამ ჟამად მარტო საფრანგეთთან დაახლოვების მომხრე იყო და ერთად ერთს იმედს ხსნისას საფრანგეთთან მეგობრობაში ჰხედავდა. ასეთს შეხედულებას ადგა ბ-ნი კატკოვი 1885 წლის დასასრულამდის. მხოლოდ ამ წლიდგან სამშობლოს მოღალატედ სთვლიდა ყველა იმას, ვინც საფრანგეთთან დაახლოვებას ურჩევდა მთავრობასა 1885 წლიდგან-კი ხელ-მეორედ საფრანგეთის მომხრედ შეიქმნა. ასეთი ცვალებადის შეხედულებისა გახლდათ პუბლიცისტი კატკოვი და ეს მისი ცვალებადობა არც მეცნიერებითა და არც სახელმწიფოს საჭიროებათა მიხედვით არ აიხსნება. კატკოვი ქადაგებდა ცენტრალიზაციას და დეცენტრალიზაციას, იცავდა ნაფიც მსაჯულთა და წინააღმდეგიც იყო მათი, მომხრე იყო ლითონის ფულის შემოღებისა და ცაში აჰყავდა ქაღალდის ფული. დიდის აღტაცებით მიეგება უნივერსიტეტების 1863 წლის წესდებას და ამავე წესდებაში ჰხედავდა მეცნიერების დამცირებას, გათახსირების წყაროს. ერთის სიტყვით, კატკოვისათვის რომ ყური ეგდოთ, მთავრობას ყოველთვის მოუხდებოდა ახალ-ახალის წესების შემოღება და ერთით მეორის უარ-ყოფაო".

—

«გრაჟდანინის» თანამშრომელი ბ. ბელომირი ამბობს-რა, რომ შეიძლება იაპონიასთან ომი მოგვიხდეს და მაშასადამე, საჭიროა შავის ზღვის ფლოტი წინ-და-წინვე გავგზავნოთ იაპონიისაკენაო, დასძენს:

„ჩემის აზრით, ამ ჟამად, როდესაც ასეთი მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ჩვენა და ოსმალეთსა, არ შეიძლება, რომ ოსმალეთმა ხელი შეგვიშალოს და ჩვენი ფლოტი თავისს წყლებზედ არ გაატაროსო".

დიდს იმედს-კი აძლევს ბ-ნი ბელომირი თავისს საყვარელს სამშობლოს, მაგრამ ის-კი დავიწყებია, რომ საერთაშორისო ვალდებულება და მეგობრობა ძალიან შორი-შორს არიან ერთმანეთზედ. მარტო იმიტომ, რომ ოსმალეთს რუსეთთან კარგი განწყობილება აქვს, საერთაშორისო ხელ-შეკრულობას იგი

---

თქვენი ცოდნა და გვარიშვილობა უქმი სიტყვები არიან! იცოდეთ, რომ ყოველივე ფუჭია წინაშე გამბედაობისა და სიმარჯვისა!... აქ საჭიროა ერთნაირი ფხა, რომელიც ვარლამ ელიაძეს ზედ მიწევნით აქვს შეთვისებული!... იცით თქვენ, ვინ არის ვარლამ ელიაძე? საზოგადოების კერპია, კერპი!... ვის ჭკუას და გამჭრიახობას აქებენ ყველგან და ყოველთვის? ვარლამ ელიაძისას! ვის მოსდის ყოველ დღე ურიცხვი დასაპატიჟებელი წერილები და ვინ ითვლება პირველ საქმროდ ჩვენში?—ვარლამ ელიაძე!... აი საბუთიც: (აიღებს სტოლზედ დაწყობილს პაკეტებს) ეს გახლავთ დღეს მიღებული დასაპატიჟებელი წერილები... აბა, წავიკითხოთ პირველი (კითხულობს): „გთხოვთ, დაგვავალოთ და მობრძანდეთ ხვალ ჩვენთან სადილად. თქვენს საყვარელს თავს საჭმელს გიმზადებთ. ჩემმა ლიზამაც განსაკუთრებით გთხოვათ.—გულით თქვენი კნეინა მართა გაბეშაძისა."

ეხლა მეორე: ოოო, დახე როგორ მმართავს: „წარჩინებულო, ჩვენო ვარლამ ივანიჩ! ჩემი ნინიჩკა ამ საღამოს სატანციო საღამოს ჰმართავს და გთხოვათ მობრძანდეთ. თქვენ მოსვლამდის არავისთან ვიტანციებო. კნეინა ეფროსინე რაჟიშვილისა. მესამეც ვნახოთ: „ამ საღამოს ცხენებით ქალაქს გარედ სასეირნოდ წასვლას ვაპირებთ, ჩემმა ცაცუნიამ გთხოვათ, ჩემი კავალერი იყავითო.—კნეინა ესმა ბჟალაძისა." აწი კმარა... უთუოდ სხვა წერილებიც ამგვარისავე შინაარსისა იქნება... ყველაში ნათლად გამოსჩანს დედათა მზრუნველობა გასათხოვარ ქალების ბედზედ... (დაფიქრდება) ჰე, ნინიჩკებო და ცაცუნიებო, მებრალებით, გულით მებრალებით!.. კარგი იქნებოდა თქვენთვის, რომ ჩემი გული წარმოადგენდეს იმ ნავთსადგურს, სადაც ყოველი გზად გამვლელი გემი ადვილად შოულობს თავისთვის ადგილს... რა ვქნა, რომ ძალიან ადგილის სივიწროვე გახლავთ ჩემს გულში!... ერთად-ერთი ადგილი იყო და ისიც სხვას ეკუთვნის, სხვამ დაიჭირა... ესე იგი ჯერ არ შესულა მფლობელობაში, მაგრამ უნდა შევიდეს-კი... (დაფიქრდება) რომ არ შევიდეს? ის რომ შეუბრალებლად დასცინის და თითქმის აძაგებს ყოველ გვარს მსხვერპლს ჩემის მხრივ? რომ ვეჯავრები? ოოო, მიფრთხილდი, კნიაჟნა მენიკო, თორემ მწარედ განანებ ჩემს შეურაცხყოფას!... მთელი ქვეყანა მუხლს იდრეკს ჩემს წინაშე, და ნუ-თუ შენის სიყვარულის ღირსი ვერ შევიქენი! იცი თუ არა, შენ ხარ ერთად-ერთი სიმაგრე, ციხე, რომელზედაც ჯერ არ მიცდია ჩემი ძლიერება!... და თუ ვცადე... (დადის ჩაფიქრებული) უწინაც არ მწყალობდა, მე მენიკო, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ მაინც ნამეტნავად ამიგდო: როცა მის სახლში მივალ, ორს სიტყვასაც არ მაღირსებს და არც მიწერილს წერილებზედ მაძლევს პასუხს... მამის სიკვდილმა ერთობ დასჩარგა, მუდამ ცხარე ცრემლით სტირის... დღეს ძალიან გაბედული წერილი მივწერე, აშკარად გამოვუცხადე ჩემი გულის წადილი და მისგანაც ველი გარდაწყვეტილს ჰოს, ან არას... ვნახოთ... (შეჩერდება სარკის წინ და იღიმება) „რად შემიყვარებ? განა არ ვიცი, შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე-კი მოხუცი"!.. მაგრამ არა! ამას ვერ მეტყვის ჩემი მენიკო... მოხუცს რა მიგავს? ერთი თეთრიც არ მირევია!... თუმცა რუსთველის მიჯნურის იდეალზედ ძალიან შორსა ვარ, მაგრამ არც ისე მახინჯი ვარ, რომ სიყვარული ვერ შევიშნო. ხა! ხა! ხა! სიყვარულიო! ეს რა წამომცდა!.. მიჰქარავ, ვარლამ!... შენ კარგად იცი, რომ სიყვარული უქმი სიტყვაა!.. ის შეთხზულია ქარაფშუტა კაცებისაგან... არეულ გონების ნაწარმოებია... (შემოდის თადეოზა და პაკეტს აძლევს)

გამოსვლა მეოთხე.

ვარლამი და თადეოზა.

ვარლამი. ააა, ჩემო თადეოზ, დაბრუნდი კიდეც?

თადეოზა. გიახელი ბატონო...

ვარლამი. აბა, რა პასუხი მომიტანე? მომიყევი გეთაყვა, როგორ მიგიღო კნიაჟნა მენიკომ?

თადეოზა. როგორ მიიღებენ, ბატონო, წუწკი ძაღლი რომ ეკკლესიაში შეეხეტოს? აი, სწორედ ისე, თქვენს სახელს ვიფიცავ!... კიდევ უარესად... პანღური-ღა დამაკლდა, მეტი არაფერი! რომ შემხედა, მარტის ცასავით მოიღრუბლა და ასე შეჰმუხნა შავი წარბები (ჰბაძავს)... თაიგული რომ მივაწოდე, ჯერ ასე შეხედა აგდებულად შორიდამ ცალი თვალით (ჰბაძავს), მერმედ გამომართვა და სტოლისკენ გაისროლა... წიგნის კითხვის დროს წარბები რაღაც ამნაირად აიწია ზევით (ჰბაძავს) და თანაც თვალებს ახალ გამოღვიძებულ კატის კნუტივით ასე ჰკუტავდა, (ჰბაძავს)... წიგნის ბოლოს რომ მიუახლოვდა, კიდევ შეჰმუხნა წარბები და თანაც გაუხშირა ცხვირით ასე (ჰბაძავს) ჰმ... ჰმ... წაიკითხა თუ არა წიგნი, იმ წამსვე ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯა და ბუხარში შეუძახა... რას გაჩერებულხარ, რად არ წაეთრევიო? დამიყვირა,—კნიაჟნა ბატონისთვის პასუხს ვუცდი-თქო... წადი, დამეკარგე, შენც სულელი ხარ და შენი ბატონიცაო!.. კუდ-ამოძუებულმა წამოსვლა რომ დავაპირე, მოიცადეო, მრისხანედ დამიძახა... მერმედ მიუჯდა სტოლს და სიჩქარით ეს წიგნი დასწერა... ღმერთო ჩემო, უნდა გენახათ, რას დაემზგავსა წერის დროს! ცხვირის ნესტოები სულ დაებერა და ულაყ ცხენივით ასე ფთხვინავდა (ჰბაძავს) ფხ...ფხ...

ვარლამი. კარგი, კმარა... შეგიძლიან გახვიდე... (თადეოზა გადის) აბა ეხლა ვნახოთ, რას იწერება ჩვენი მრისხანე ანგელოსი (კითხულობს): „მოწყალეო ხელმწიფევ"! Какой оффиціальный тонъ! „დიდად მაკვირვებს თქვენი კადნიერება, მეტი რომ არა ვსთქვათ!.. რად არ დარწმუნდებით, რომ მე რაღაც თქვენი გულის წადილის გამოძიებაში სრულიადაც არ შევდივარ! ბოლო მოუღეთ თქვენს უმგვანო კითხვებს და თხოვნას... თუ რამ განზრახვა და სურვილი გაქვთ, თქვენთვის შეინახეთ, მე-კი ნუ მაბეზრებთ თავს ბავშვურის საქციელით... ეს უკანასკნელი ჩემი სიტყვაა.—მენიკო". (აღელვებული) აი, ჩალის პირში გამოვლებაც ამას ჰქვია..,„უმგვანო კითხვები". „თქვენი განზრახვა და სურვილი თქვენთვის შეინახეთ", „თავს ნუ მაბეზრებთ,"—აი, რა დავიმსახურე!... (ჩაფიქრებული დადის) მაშ ეგრე!.., გათავდა... მორჩა... დავივიწყოთ ყველაფერი... (მუქარით მუშტს იქნევს) ეს კი იცოდე, ჩემო კარგო, რომ სასიკვდილოდაც არ დაგზოგავ დღეიდგან!... (შემოდის თადეოზა)

თადეოზა. ბატონო, კნიაზ ტიფო იზმაილიძე გახლავს.

ვარლამი. მთვრალი იქნება!...

თადეოზა. არა, ბატონო, მთვრალი არ არის,—მაგრამ ძალიან გაჯავრებული-კი უნდა იყოს...

ვარლამი. მაშ უთუოდ რაიმე სისხლის სამართლის საქმეს ჩაიდენდა: კაცს მოჰკლავდა, ან დასჭრიდა... სთხოვე შემოვიდეს... (თადეოზა გადის; ტიფო შემოდის დაიარაღებული, შეჩერდება შუა სცენაზედ და დრამატიულს პოზას მიიღებს).

ილ. პონტელი.

(შემდეგი იქნება).

ვერ გადალახავს; საომარ ხომალდებს-კი არა, სტუმართაც-კი არ გამოატარებენ ხოლმე სამხედრო ხომალდს. მაგალითად, 1888 წელს ედინბურგის პრინცი სტამბოლს რომ მივიდა, იძულებული იყო მარმარილოს ზღვაში ხონთქრის ხომალდზედ გადამჯდარიყო და ისე შესულიყო სტამბოლში.

—

გაზეთი „Daily Chronicle“-ს ამბობს, რომ რუსეთს აქვს სრული ნება, პროტესტი განუცხადოს იაპონიას, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს ყოველთვის, რომ მას არ შეუძლია შეებას იაპონიას, თუ ამ სახელმწიფომ რუსეთის პროტესტს ყურადღება არ მიაქციაო. მართლაც, განაგრძობს ინგლისური გაზეთი:

„რუსეთმა შეიძლო მხოლოდ 30 000 კაცის გამოყვანა აღმოსავლეთის საზღვარზედ, ამაზედ მეტს ჯარს იგი იაპონიის წინააღმდეგ ვერ გამოიყვანს. იაპონიას-კი თამამად შეუძლია 100 ათასი კაცი გამოიყვანოს ომის ველზედ. მერე რა ჯარი? რუსეთის ჯარზედ უფრო კარგად შეიარაღებული, უფრო გაწრთვნილი უფრო დახელოვნებული! გარდა ამისა ადგილობრივის ჰავის ატანა იაპონელთ უფრო შეუძლიანთ. თუ გაუჭირდათ—იაპონელთ ჰყავს სათადარიგო ჯარი 150 ათასი კაცი. იაპონიის ნავთ-სადგურების დასაცველად, მათ ისეთი მძლავრი ფლოტი ჰყავთ, რომ საშიში არა უჭირთ-რა. იაპონიის ტერრიტორიაზედ რუსის ჯარის გადაყვანა ისეა მოსახერხებელი, მაგალითად, როგორც მთვარეზედ დესანტი. თვით იაპონელთ-კი თამამად შეუძლიანთ ვლადივოსტოკის დაპყრობა განიზრახონ. ერთის სიტყვით, რუსეთი ძალიან უნდა დაფიქრდეს, სანამ გარდასწყვეტდეს ომის გამოცხადებას“.

—

„Times“ ძალიან გაკვირვებულია, როგორ დაიყოლია რუსეთმა საფრანგეთი და მეტადრე გერმანია საერთო პროტესტისათვის იაპონიის წინააღმდეგ. ჩვენ გვესმისო, ამბობს გაზეთი, რუსეთის მეცადინეობა, მაგრამ საფრანგეთსა და გერმანიას მაინც-და-მაინც რა აიძულებს იაპონიას ედავოსო.

„ჩვენ, ინგლისელებს, უფრო მძლავრი ინტერესები გვაქვს შორეულს აღმოსავლეთში, ვიდრე გერმანიას და საფრანგეთს; ჩვენი აღებ-მიცემობა, შესაძლებელია, ძლიერ დაბრკოლდეს აზიაში, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვბედავთ ჩინეთ-იაპონიის საქმეებში გარევას, რადგანაც ამგვარის გარევისათვის ძლიერ მძლავრი მიზეზი უნდა არსებობდეს“.

—

„მოსკოვის უწყ.“ მოჰყავს შენიშვნა ბელგიელ გაზ. „Indépedance Belge“-ის ერთის თანამშრომელისა, რომელმაც გამოსთქვა, რომ იაპონიის აღმოსავლეთში გაძლიერებას წინააღმდეგობას გაუწევენ რუსეთი და საფრანგეთი, რომლებიც უთუოდ არ დასცილდებიან ერთი-მეორეს, თუნდაც ევროპის არც ერთმა სახელმწიფომ არ განაცხადოს წინააღმდეგიოდს აი, რას ამბობს:

„Indépedance Belge“-ის კორესპონდენტი სრულიადაც არა სცდება: რუსეთმა მართლაც უკვე გადასწყვიტა, არამც თუ სიტყვით ეწინააღმდეგოს იაპონიის ასეთს გაძლიერებას, არამედ მზად არის იგი, იარაღიც-კი იხმაროს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. მაგრამ რუსეთი ამ შემთხვევაში განცალკევებული არ იქმნება, რადგანაც არამც თუ საფრანგეთი, გერმანიაც-კი მასთან ერთად იმოქმედებს, და არავითარი გარემოება ხელს არ შეუშლის მათს ერთობას ამ საქმეში“.

„გარდა ამისაო,—იმეორებს „მოსკოვის უწყ.“,—რუსეთი შორეულს აღმოსავლეთში თან-და-თან აძლიერებს თავისს ძალას, ასე რომ მას თავისუფლად შეუძლიან თავისის ინტერესების დაცვა და ჯარს ხმელეთითა თუ ზღვით დღემდისაც უმატებს აღმოსავლეთის თავისს სამხედრო ძალასაო“.

საკვირველია, საიდგან შეიტყო ასე დაბეჯითებით „მოსკოვის უწყ.,“ თუ რუსეთის პოლიტიკას რა აქვს აზრად იაპონიის შესახებ, ან როგორის ერთობით იმოქმედებენ ამ საქმეში რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია (?!), როდესაც პოლიტიკურ კითხვების გარჩევასა თუ გარდაწყვეტაში პრესას საზოგადოდ არავითარი ხმა არ ეძლევა.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ბერლინის გაზეთ „Standard“-ის კორესპონდენტი იწერება, რომ რუსეთის ელჩმა პეკინში ბრძანება მიიღო, ტონგ-ლი-ჰიამენს მოელაპარაკოს იმის შესახებ, რომ რუსეთს ჩინეთის მიწა-წყლიდგან დაუთმოს რამე ასანაზღაურებლად იმ საქციელისა, რომლითაც ჩინეთმა იაპონიას მიწა-წყალი დაუთმოო. რადგანაც ჩინეთის მთავრობას არ შეუძლიან პირ-და-პირ უარი გამოაცხადოს ამ წინადადებაზედ, იმედი აქვს მანჯურიის ნაწილისა და ერთ-ერთის ნავთ-სადგურის დათმობით დააკმაყოფილოს რუსეთიო.

ძალიან საეჭვოა, რომ რუსეთს ასეთი ბრძანება მიეცეს თავისის ელჩისათვის და ან ჩინეთს მოესურვებინოს რუსეთის დაკმაყოფილება, რადგანაც ჩინეთი თუ რამეს უთმობს იაპონიას უთმობს ომისა და გამარჯვებისათვის, ხოლო აქ რა შუაშია რუსეთი, ესკი ვეღარ გაგვიგია.

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ლონდონის სტატისტიკა 1894 წელს. როგორც ვიწყით, ლონდონი სატახტო ქალაქია ინგლისისა და უდიდესი მთელს დედამიწის ზურგზედ. მისი ქუჩები სიგრძით 10,632 კილომეტრზედ მიდის. ცეცხლის მქრობელი რაზმი 585. პოლიციელნი 13,765, მათი შენახვა ჯდება მილიონ ნახევარი მანეთი. ფოსტის კანტორები ათასამდე. ომნიბუსი 10,500. 1894 წ. 25,000 ამანათი დაუკარგავთ მგზავრებს, იმათგან 1,900 ფულის ქისა. სავადმყოფოები 24 საყოველთაო და 110 საგანგებო. 972 მცხოვრებზედ ერთი ღოგინი მოდის. 449 დღიური და პერიოდული ჟურნალ-გაზეთებია. ას ქრავ კაცისგან თორმეტი თავისს მოახლე გოგოს ირთავს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აპრილი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფემ განკარგულება მოახდინა, რომ პირველის რიგის სამხედრო ბეგარის გარდასახდელად წელს მოწვეულ უნდა იქმნენ რუსეთისა და კავკასიის ის პრაპორშჩიკები, რომელთაც ეს ჩინი 1894 წელს მიუღიათ და ჯერ სამხედრო ბეგარის გარდასახდელად არ ყოფილან გამოწვეულნი; აგრეთვე ისინი, ვისაც ეს ჩინი 1886 წელს მიუღია და ერთხელ უკვე ყოფილა გამოწვეული.

როსტოვსა და ტაგანროგს შუა მთავრობას ტელეფონი გაუყვანია.

ხუთშაბათს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გარდიხადეს იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

**მოსკოვი.** ვიღაც უცნობს ქველმოქმედს ქალს გამოუგზავნია მოსკოვის უნივერსიტეტში ოთხი-ათასი მანეთი, რათა ამ ფულით გარდახდილ იქმნას ღარიბ სტუდენტების მაგიერ სწავლისათვის გარდასახადი.

**ლონდონი,** 20 აპრილს. პეკინიდგან ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია სიმონოსეკის ხელ-შეკრულობა. პეკინში ჩამოსული ლი-ხუნ-ჩანგი იმპერატორმა ინახულა.

**პარიზი,** 20 აპრილი. გაზეთი „Matin“ ამტკიცებს, რომ იაპონიის მთავრობას ჰსურს ახლავ გამართოს მოლაპარაკება რუსეთთან, საფრანგეთთან და გერმანიასთან აღმოსავლეთის საქმეების განსახილველად.

**ბერლინი,** 20 აპრილი. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ინახულა დღეს იაპონიის ელჩი და ჩინეთის რწმუნებული. ბერლინში ჩამოვიდა ახლად დანიშნული რუსეთის ელჩად გრაფი ოსტენ-საკენი.

**სტოკჰოლმი.** ხრისტიანიდგან ამბავი მოვიდა: 60 წევრს სხვა-და-სხვა პარტიისას გარდაუწყვეტიათ მიართვან პარლამენტს ადრესი და ითხოვონ ამორჩევა რწმუნებულთა, რომლებმაც შვეციის რწმუნებულთან ერთად უნდა მოსპონ ამ ორ ერთა შუა ჩამოვარდნილი უთანხმოება.

22 აპრილი.

**პეტერბურგი.** პარასკევს, ხელმწიფე იმპერატორმა ცარსკოე-სელოში მიიღო გერმანიის ახალი ელჩი თავადი რადოლინი, რომელიც შემდეგ წარსდგა ხელმწიფა იმპერატრიცას წინაშე.

**ოდესა.** ბრაილოვისა და გალაცს შუა, ღამით, „შავ-ზღვა-დუნაის საზოგადოების“ გემი „ბოლგარია“ დაეჯახა გერმანიის ხალხის მატარებელ გემ „ფრიზეს“, რომელიც წყალში დაიძირა. ხალხი და გემზე მოსამსახურენი გადაარჩინეს.

**პარიზი.** ამტკიცებენ, რომ ესპანიაც მიემხრო სიმონოსეკში მომხდარ ხელ-შეკრულობის მოწინააღმდეგე გერმანიასა, საფრანგეთსა და რუსეთსაო.

**ბერლინი.** „ნაციონალური გაზეთი“ ამბობს: „იაპონიის დესპანისა და ჩინეთის რწმუნებულის გერმანიის გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტართან მოლაპარაკებიდგან სჩანს, რომ იაპონიას სრულიადაც არ უარ-უყვია რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ წარდგენილი წინადადებაო და ჯერ ისევ მოლაპარაკება აქვთ.

„კელნის გაზეთი“ სოფიიდგან იუწყება: იმის მიზეზით, რომ ვითომც მაკედონიაში მცხოვრებ ქრისტიანებს აჯანყება უნდა მოეხდინათო, ქ. პრილიპუსა, ოხრიდასა და ველესში ოსმალებმა მრავალი ქრისტიანი დააპატიმრეს და სხვათა შორის ბოლგარელებიც.

**ლონდონი.** „Times“-ს სწერენ შანხაიდგან, რომ ჩინეთის იმპერატორთან დაახლოვებულები ურჩევდნენ მას: უფრო დიდი სამხედრო კონტრიბუცია გარდაიხადე და მანჯურიასა და ფორმოზას-კი ნუ დაუთმობ იაპონიასაო.

„რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან, რომ ვითომც ჩინეთის იმპერატორს გადაეწყვიტოს ზავის პირობის დამტკიცება. ეს გარდაწყვეტილება მიუღია პრინც კუნგის რჩევით, რომელიც ხელ-მეორედ გარეშე საქმეთა მინისტრი გახდა და დიდი მომხრეა მშვიდობიანობისა.

იოკაჰამიდგან დეპეშით იუწყებიან: „ზავის პირობათა დასამტკიცებლად ჩიფუში მიმავალ გრაფ იტოს გზაზე შეატყობინეს, რომ პორტ არტურში დარჩეს, ვიდრე ზავის პირობებს ჩინეთი არ დაამტკიცებსო.

ფინანსთა მინისტრმა ჰარკორტმა პარლამენტში განაცხადა, რომ „შეიძლება სამსახურს თავი დავანებოო“. ამბობენ, ამ ამბავს კავშირი აქვს ლორდ როზბერის სამსახურიდგან გადადგომასთანაო.

### პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,41 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 210½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

## განცხადებანი


### ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

### დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემსადგურებზედ.

50—6—20